2014 წლის
ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების
მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი, 2014

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC)

ანგარიში მომზადდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით

თბილისი, 2014

ავტორი: ნინო ცაგარეიშვილი

რედაქტორი: ალეკო ცქიტიშვილი

თარგმანი: ნინო ტლაშაძე

ანგარიში მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ადამიანის უფლებების პატივისცემა, ხოლო ხელისუფლება პატივს უნდა სცემდეს კანონის უზენაესობას, გამჭვირვალობის პრინციპებს და ძალთა გადანაწილებას დისკრიმინაციის ყველა დონეზე აღმოსაფხვრელად.

<u>მისამართი:</u>
0160 თბილისი , მ. ქანთარიას ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 245 45 33, (+995 32) 238 46 48
ფაქსი: (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org
ვებ-პორტალი: **http://www.humanrights.ge**, http://www.hridc.org

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი გამოქვეყნებული მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი 6

წინასაარჩევნო პერიოდი 6

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები 10

კენჭისყრის პროცესი 13

- საარჩევნო აგიტაცია 13
- საკონტროლო ფურცლების წარმოებასთან დაკავშირებული დარღვევები 17
- ბიულეტენებთან დაკავშირებული პრობლემები 19
- ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა 21
- საკანონმდებლო ხარვეზი 23
- კენჭისყრის პროცესის განმავლობაში დაფიქსირებული სხვა დარღვევები 23

ხმის დათვლის პროცესი 31

რეკომენდაციები 32

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის შედეგებს. პროექტი ადამიანის უფლებათა ცენტრმა განახორციელა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის 28 დამკვირვებელმა 2014 წლის 15 ივნისს მონიტორინგი განახორციელა არჩევნების პროცესზე კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში, ასევე - იმერეთის რეგიონის, კერძოდ, საჩხერის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები მონიტორინგს ახორციელებდნენ ე.წ. მობილური ჯგუფებისა და იმ დამკვირვებლების მეშვეობით, რომლებიც არჩევნების პროცესს მთელი დღის განმავლობაში აკვირდებოდნენ ერთ უბანზე.

ანგარიშში თავდაპირველად განხილულია წინასაარჩევნო პერიოდის ძირითადი ტენდენციები. ამის შემდეგ წარმოდგენილია მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა შემდეგ თავებად: *ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები; კენჭისყრის პროცესი* - საარჩევნო აგიტაცია, საკონტროლო ფურცლების წარმოებასთან დაკავშირებული დარღვევები, ბიულეტენებთან დაკავშირებული პრობლემები, ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა, კენჭისყრის პროცესის განმავლობაში დაფიქსირებული სხვა დარღვევები; ხმის დათვლის პროცესი; *რეკომენდაციები.*

წინასაარჩევნო პერიოდი

სხვადასხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, მდგომარეობა გაცილებით გაუარესდა, თუმცა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, უფრო ნაკლები დარღვევა დაფიქსირდა[1].

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის უცვლელი დარჩა საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი. მოქმედი წესის თანახმად, საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით არჩეული კომისიის წევრებისა,

[1] „არასამთავრობო ორგანიზაციები წინასაარჩევნო გარემოს აფასებენ: 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები“; http://transparency.ge/en/node/4370.

კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული 6 წევრისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული 1 წევრით კომპლექტდება, რაც არაერთხელ გამხდარა არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის საგანი[2]. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებების კუთხით, მისასალმებელი ფაქტია 50 %+1 ბარიერის დადგენა მერისა და გამგებლის არჩევისას, რაც წინგადადგმული ნაბიჯია და უზრუნველყოფს არჩეული პირის უფრო მაღალ ლეგიტიმაციას. უარყოფითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ საინიციატივო ჯგუფებს არ მიეცათ მერობის/გამგებლობის კანდიდატების დასახელების უფლება, რაც ზღუდავს ამომრჩეველთა თავისუფალ ნებას, აირჩიონ მათთვის სასურველი კანდიდატი.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენდა სავარაუდო ზეწოლის ფაქტები თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ კანდიდატებზე, რომლებმაც საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის 1 ივნისის მონაცემებით, 62 საარჩევნო ოლქში კანდიდატურები მოხსნა 385-მა კანდიდატმა. „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ინფორმაციით, პოლიტიკური გაერთიანებებისა და ადგილობრივი დამკვირვებლებისაგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, აქედან 6 ოპოზიციური პარტიის ორმოცდაათამდე კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა სავარაუდო ზეწოლის შედეგად.[3] მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური გაერთიანებების არაერთი განცხადებისა, სავარაუდო ზეწოლის ფაქტებზე საგამოძიებო ორგანოებს ადეკვატური რეაგირება არ მოუხდენიათ[4].

არასამთავრობო ორგანიზაციების დაკვირვებით, წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლინდა პოლიტიკური ნიშნით ფიზიკური ანგარიშსწორების სავარაუდო 4 ფაქტი, რომელთაგან 3 შემთხვევა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის წევრების, ხოლო 1 – არასაპარლამენტო ოპოზიციის თელავის მერობის კანდიდატის წინააღმდეგ იყო მიმართული[5]. რაც შეეხება აგიტაციაში ხელის შეშლის ფაქტებს, წინასაარჩევნო პერიოდში 15-მდე ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, რომლებიც, ძირითადად, ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, უმეტეს შემთხვევაში, სამართალდამცავების მხრიდან წინასაარჩევნო შეხვედრებისა და ღონისძიებების მშვიდობიან და უსაფრთხო ვითარებაში წარმართვა და ძალადობის აღკვეთა ვერ

---

[2] „არასამთავრობო ორგანიზაციები წინასაარჩევნო გარემოს აფასებენ: 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები“; http://transparency.ge/en/node/4370.

[3] ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის პირველი შუალედური ანგარიში; http://www.isfed.ge/main/684/geo/

[4] http://www.isfed.ge/main/684/geo/

[5] http://transparency.ge/en/node/4370

ხერხდებოდა. ასევე, არ იყო ადეკვატური დაკავებული პირებისთვის შეფარდებული სასჯელი, რამაც თავისთავად ვერ უზრუნველყო დარღვევათა შემდგომი პრევენცია[6].

რაც შეეხება ადმინისტრაციული რესურსის სავარაუდო გამოყენების ფაქტებს, წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ადგილი ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალურ-ინფრასტრუქტურული პროექტების ინიცირებას[7]. გარდა ამისა, რამდენიმე ათეულ მუნიციპალიტეტში წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებამდე ერთი და ორი დღით ადრე გაიზარდა ზოგიერთი საბიუჯეტო პროექტის დაფინანსება[8], რაც ფორმალურად კანონის დარღვევას არ წარმოადგენს, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ფაქტებს, შესაძლოა, დიდი გავლენა მოეხდინა ამომრჩევლის ნებაზე, ლეგიტიმურია ეჭვები მათი პოლიტიკური მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით.

დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში არსებული პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის დეპარტამენტის მუშაობა 2014 წლის განმავლობაში. 2012 წლისგან განსხვავებით, მონიტორინგის სამსახურს არ გამოუვლენია განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა პარტიების მიმართ.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისაგან განსხვავებით, ადგილი არ ჰქონია სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან ჟურნალისტების ზეწოლის ან მუქარის ფაქტებს. დაფიქსირდა რამდენიმე ინციდენტი რეგიონში, როცა ჟურნალისტებს კანდიდატების ღონისძიებებზე დასწრების ან მათთვის კითხვის დასმის შესაძლებლობა შეეზღუდათ[9].

წინასაარჩევნო პერიოდში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოავლინა არათანმიმდევრული მიდგომა კანდიდატების რეგისტრაციიდან მოხსნა/არმოხსნის საკითხთან დაკავშირებით. 2014 წლის 9 ივნისს, ცესკომ ძალაში დატოვა მარნეულის საოლქო კომისიის გადაწყვეტილება, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის, აკმამედ იმამკულიევის მოხსნასთან დაკავშირებით. საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, აკმამედ იმამკულიევი რეგისტრაციიდან იმ მოტივით მოიხსნა, რომ ის ვერ აკმაყოფილებდა კანონით დადგენილ საცხოვრებელ ცენზს, რომლის მიხედვითაც კანდიდატი ბოლო ორი წლის განმავლობაში მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში. მართალია, საარჩევნო კანონმდებლობა ბუნდოვანია

[6] http://transparency.ge/en/node/4370

[7] 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში; http://www.isfed.ge/main/607/geo/

[8] http://www.isfed.ge/main/607/geo/

[9] 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნები წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის მეორე შუალედური ანგარიში; http://www.isfed.ge/main/607/geo/

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა განიმარტოს კანდიდატის მუდმივად ცხოვრება, მაგრამ აღნიშნულ ფაქტამდე რამდენიმე კვირით ადრე, ცესკომ „ქართული ოცნების“ კანდიდატები რუსთავსა და ფოთში, ირაკლი კაკულია და დავით ჯიქია რეგისტრაციიდან არ მოხსნა, იხელმძღვანელა რა საგადასახადო კოდექსის იმ ნორმით, რომლის მიხედვითაც, საქართველოს რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე მინიმუმ 183 დღის განმავლობაში (საქართველოს ტერიტორიაზე ფაქტობრივ ყოფნად ითვლება ის დროც, როცა პირი საქართველოს ფარგლებს გარეთ გადის სამკურნალოდ, დასასვენებლად, მივლინებით ან სასწავლებლად). მიუხედავად იმისა, რომ აკმამედ იმამყულიევი აკმაყოფილებდა აღნიშნულ მოთხოვნას, ცესკომ იგი რეგისტრაციიდან მოხსნა, რაც ეწინააღმდეგებოდა მის მიერვე დადგენილ პრაქტიკას და აღიქმებოდა როგორც მიკერძოებული გადაწყვეტილება მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

ცესკოს გადაწყვეტილება აკმამედ იმამკულიევმა თბილისის საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას საარჩევნო რეგისტრაცია აღუდგა[10].

რაც შეეხება პოზიტიურ ცვლილებებს, მისასალმებელია ცესკოს მიერ წინასაარჩევნო პერიოდში დარღვევების პროაქტიულად განხილვა და სავარაუდო დარღვევების შესახებ მედიით გავრცელებული ინფორმაციით დაინტერესება[11].

წინასაარჩევნო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის“ მუშაობა, რომლის მიზანია საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და დარღვევებზე რეაგირება და ამ გზით თავისუფალი და სამართლიანი გარემოს შექმნა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, უწყებათაშორისი კომისია გამოსცემდა სხვადასხვა რეკომენდაციებს და მოუწოდებდა შესაბამის ორგანოებს, რეაგირება განეხორციელებინათ ცალკეულ დარღვევებზე. თუმცა, კომისიას არ წარმოუდგენია ანგარიში, თუ რა შედეგები მოჰყვა მის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და რა რეაგირება განხორციელდა აღნიშნულ დარღვევებზე, რაც ქმნიდა შთაბეჭდილებას, რომ კომისია სათანადოდ არ ინტერესდებოდა მის მიერ გაცემული რეკომენდაციების იმპლემენტაციით[12].

[10] http://www.tabula.ge/ge/story/84251-sasamartlom-akmamed-imamkulievi-gamgeblobis-kandidatad-aghadgina
[11] http://transparency.ge/en/node/4370
[12] http://transparency.ge/en/node/4370

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები

კახეთის რეგიონის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებსა და იმერეთის რეგიონის კონფლიქტისპირა სოფლებში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებულ დარღვევებს, ძირითადად, ჰქონდა პროცედურული ხასიათი და გამოწვეული იყო კომისიის წევრთა არასათანადო მომზადებითა და კვალიფიკაციით. დარღვევების უმეტესობა დაფიქსირდა ახმეტისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში. საჩივრები დაიწერა საგარეჯოს, თელავისა და ახმეტის მუნიციპალიტეტების ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფლებში.
კომისიის წევრები, უმეტესწილად, ითვალისწინებდნენ დამკვირვებელთა შენიშვნებსა და მითითებებს. მცირე გამონაკლისების გარდა, კომისიის თავმჯდომარეები საშუალებას აძლევდნენ დამკვირვებლებს, სრულფასოვნად განეხორციელებინათ თავიანთი უფლებამოსილება. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებს არ დაუფიქსირებიათ გაყალბების მიზანმიმართული მცდელობა. საოლქო კომისიის წარმომადგენლები დროულად და ადეკვატურად რეაგირებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიმართვებზე პრობლემებთან დაკავშირებით, მცირე გამონაკლისების გარდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა, საარჩევნო უბნებზე 9 საჩივარი დაწერეს და 30-მდე შენიშვნა გააკეთეს ჩანაწერთა წიგნში, რის შედეგადაც, დარღვევების უმეტესობა ადგილზე აღმოიფხვრა. ადამიანის უფლებათა ცენტრის ორი საჩივარი ასევე წარედგინა საოლქო კომისიას და მოთხოვნილ იქნა შესაბამის საარჩევნო უბნებზე არჩევნების შედეგების გაუქმება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების ინფორმაციით, ახმეტისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში პრობლემას წარმოადგენდა კენჭისყრის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე არაუფლებამოსილი პირების აქტიურობა, რომლებიც მუდმივად ადევნებდნენ თვალყურს საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას და აქტიურად ურთიერთობდნენ ამომრჩევლებთან. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებთან პირად საუბრებში ისინი აცხადებდნენ, რომ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდნენ და პარტიის დავალებით მოქმედებდნენ. აღნიშნული პრობლემა უფრო თვალსაჩინო იყო, ვიდრე 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

ახმეტის რაიონის, სოფელ დუისის 26-ე საარჩევნო უბანზე, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატისა და მისი თანმხლები პირების მხრიდან მთელი დღის განმავლობაში ხორციელდებოდა კომისიის წევრებსა ზეწოლა და მათ საქმიანობაში უხეში ჩარევა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტის[13] ყველა იმ უბანზე, სადაც დამკვირვებლები ახორციელებდნენ მონიტორინგს, პრობლემას წარმოადგენდა ამომრჩეველთა გაურკვევლობა ბიულეტენის შევსების წესთან დაკავშირებით. აღნიშნულ უბნებზე ამომრჩეველთა უმეტესობა ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდა. ისინი ვერ ფლობდნენ ქართულ ენას, შესაბამისად, ქართულ ენაზე გამოკრული ინსტუქციები მათთვის გაუგებარი იყო. აღნიშნულ უბნებზე ხშირი იყო შემთხვევები, როცა ამომრჩევლები თანმხლებ პირებთან ერთად მოდიოდნენ და საარჩევნო კაბინაში მათი დახმარებით აძლევდნენ ხმას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი იძლევა შესაძლებლობას, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე დამზადდეს საარჩევნო დოკუმენტაცია,[14] რისი განხორციელების აშკარა აუცილებლობა გამოვლინდა ზემოაღნიშნულ უბნებზე.

მასშტაბურ პრობლემას წარმოადგენდა კომისიის წევრთა მიერ ქართული ენის არცოდნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იმ უბნებზე, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები უწევდნენ მონიტორინგს[15]. აღნიშნული პრობლემის გამო, კომისიის წევრებს უჭირდათ თავიანთი უფლება-მოვალეობების სრულფასოვნად შესრულება. ენობრივი ბარიერის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ვერ ახერხებდნენ მათთან კომუნიკაციასა და პრობლემების გამორკვევას. ასევე, დამკვირვებლებისათვის გაურკვეველი იყო აღნიშნულ უბნებზე კომისიის წევრებსა და ამომრჩევლებს შორის საუბრის შინაარსი.

საარჩევნო კომისიის წევრები უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას იმ დონეზე, რომ სრულფასოვნად მოახერხონ თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა საკონტროლო ფურცლებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დარღვევები, რის შესახებაც, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ ორი საჩივარი წარედგინა საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიას. შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიამ სიტყვიერი გაფრთხილება მისცა და

---

[13] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქეშალოს მე-40 და 41-ე, მუღალნოს 42-ე, ლამბალოს 44-ე, 45-ე და 46-ე და თულარის 47-ე და 48-ე, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას 37-ე, 38-ე, 39-ე და 54-ე საარჩევნო უბნებზე

[14] საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლის მე-10 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

[15] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქეშალოს მე-40 და 41-ე, მუღალნოს 42-ე, ლამბალოს 44-ე, 45-ე და 46-ე და თულარის 47-ე და 48-ე უბნები.

მომავალში საარჩევნო კომისიის წევრობა აუკრძალა შესაბამისი საუბნო კომისიების თავმჯდომარეს, მოადგილესა და მდივანს.

ამასთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით, გაუწიონ დახმარება არაქართული სოფლების მოსახლეობას ცნობიერების ამაღლების კუთხით, ვინაიდან ერთხმად აღიარეს, რომ არჩევნები ამ სოფლებში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი დარღვევებით.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ბიულეტენების გარკვეული რაოდენობის გამოყენების შემდეგ რეგისტრატორებს არათანაბარი რაოდენობის ბიულეტენები აღმოაჩნდათ. აღნიშნული ფაქტებთან დაკავშირებით რეგისტრატორებმა ახსნა-განმარტებები დაწერეს და დარღვევები დაშვებული შეცდომით ახსნეს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული სხვა დარღვევები, ძირითადად, კომისიის წევრების არასათანადო კვალიფიკაციასთან იყო დაკავშირებული.

რაც შეეხება იმ რეგიონებს, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრი არ აკვირდებოდა არჩევნებს, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, რომლებიც არჩევნების პროცესს აკვირდებოდნენ, არჩევნებმა, ძირითადად, მშვიდ გარემოში ჩაიარა[16]. გამონაკლისს წარმოადგენდა მარტვილის მე-16 საარჩევნო უბანი, სადაც უბნის ბიულეტენები ნიღბიანმა პირებმა გაიტაცეს[17] და ზუგდიდის საარჩევნო ოლქის ანაკლიის 32-ე უბანი, სადაც დაამტვრიეს საარჩევნო ყუთი[18]. ასევე, ახალქალაქის №40-ე და მარტვილის №65-ე საოლქო საარჩევნო კომისიებში, სხდომების მიმდინარეობისას, შეიჭრნენ საარჩევნო სუბიექტის - „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ წარმომადგენლები, ხელი შეუშალეს კომისიის საქმიანობას და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა კომისიის წევრებს[19]. აღნიშნულ ფაქტებზე შესაბამისი რეაგირება განახორციელა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

15 ივნისის არჩევნების პირველ ტურში, 12 ქალაქიდან 8 ქალაქში მერობის კანდიდატებმა 50%-იანი ბარიერი ვერ გადალახეს და ამიტომ ამ ქალაქებში 12

[16] http://transparency.ge/post/general-announcement/2014-tslis-adgilobrivi-tvitmmartvelobis-archevnebis-shemajamebeli-gancxadeba; http://gyla.ge/geo/news?info=2181; https://www.youtube.com/watch?v=S_whM1jl-Vo

[17] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17765&lang=geo; http://www.cesko.ge/ge/mediisatvis-4-ge/pres-relizebi-13-ge/informacia-saarchevno-procesis-shesaxeb-1100-saatis-mdgomareobit12.page

[18] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17771&lang=geo

[19] http://www.cesko.ge/ge/mediisatvis-4-ge/pres-relizebi-13-ge/ceskos-gancxadeba-axalqalaqsa-da-martvilshi-ganvitarebul-movlenebtan-dakavshirebit.page

ივლისს მეორე ტური გაიმართა. იგივე მოხდა გამგებლობის კანდიდატებთან დაკავშირებით 13 მუნიციპალიტეტში[20].

15 ივნისის არჩევნებზე აქტივობამ საქართველოს მასშტაბით 20:00 საათისათვის 43,31% შეადგინა, თბილისში - 37,3%. მეორე ტურში ამომრჩეველთა აქტივობამ საქართველოს მასშტაბით 36% შეადგინა[21].

კენჭისყრის პროცესი

საარჩევნო აგიტაცია

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების ინფორმაციით, ახმეტისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა კენჭისყრის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე არაუფლებამოსილი პირების აქტიურობა, რომლებიც მუდმივად ადევნებდნენ თვალყურს უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სიტუაციას და აქტიურად ურთიერთობდნენ ამომრჩევლებთან. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებთან პირად საუბრებში ისინი აცხადებდნენ, რომ „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენდნენ და პარტიის დავალებით მოქმედებდნენ[22].

საარჩევნო კოდექსის თანახმად, კენჭისყრის დღეს წინასაარჩევნო აგიტაცია აკრძალულია კენჭისყრის შენობაში[23]. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე აგიტაციას საარჩევნო კანონმდებლობა არ კრძალავს. თუმცა, უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში პარტიის წარმომადგენლების ორგანიზებული აქტიურობა შეიცავს ამომრჩევლის ნებაზე ზემოქმედების მნიშვნელოვან საფრთხეს. საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე კონტროლი და ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას[24].

ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯოყოლოს 23-ე საარჩევნო უბნის შენობაში, კენჭისყრის ოთახის შესასვლელთან, მაგიდასთან იჯდა ქალბატონი, რომელიც

[20] http://www.civil.ge/geo/article.php?id=28398
[21] http://reportiori.ge/?menuid=3&id=32961
[22] აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ დუისის მე-5 და პანკისის ხეობაში მდებარე სოფელ ომალოს 24-ე უბნებზე
[23] ნაწილი 11, მუხლი 45; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf
[24] საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „დ'' პუნქტის „ბ'' ქვეპუნქტი: http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

რვეულში აკეთებდა აღნიშვნებს[25]. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შეკითხვაზე, თუ რას აკეთებდა, მასთან მდგომმა მეორე ქალბატონმა უპასუხა, რომ ისინი იყვნენ „ქართული ოცნების“ აგიტატორი და კოორდინატორი. მან ასევე განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებას“ გაგზავნილი ჰყავდა კოორდინატორები თითქმის ყველა უბანზე, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ სპეციალური ნომრები და ატყობინებდნენ, თუ რამდენი ამომრჩეველი იყო მოსული და რამდენმა მისცა ხმა „ქართულ ოცნებას“. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა საოლქო კომისიის წარმომადგენელს, რომელიც უბანზე იმყოფებოდა. მან განაცხადა, რომ ამ საკითხის მოგვარება მათ მოვალეობას არ წარმოადგენდა.

„ქართული ოცნების'' კანდიდატი, ადამ ედიგაროვი, მთელი დღის განმავლობაში ეწეოდა აგიტაციას როგორც კენჭისყრის შენობაში, ასევე ეზოში, სოფელ თულარის 48-ე უბანზე. კომისიის შემადგენლობაში იყო მისი ქალიშვილი, აფინა ედიგაროვა, რომელიც ასრულებდა რეგისტრატორის ფუნქციებს და აქტიურად ეკონტაქტებოდა ამომრჩევლებს. მათი საუბრის შინაარსი, ენობრივი ბარიერის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებისათვის უცნობი იყო. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა ამის თაობაზე დაწერა საჩივარი, რომლის დარეგისტრირება არც მდივანმა და არც კომისიის თავმჯდომარემ არ ისურვეს. საჩივრის დარეგისტრირება დიდი ძალისხმევის შემდეგ მოხერხდა.

საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-16 ნაწილი განსაზღვრავს იმ პირთა სიას, რომლებსაც უფლება აქვთ, იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობაში. აღნიშნული სია არ მოიცავს ისეთ პირებს, რომელთაც არა აქვთ უბანზე ყოფნის დამადასტურებელი შესაბამისი უფლებამოსილება. შესაბამისად, ე.წ. აგიტატორების კენჭისყრის შენობაში ყოფნა წარმოადგენდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.

სოფელ დუისის 26-ე საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის დაწყებიდან რამდენიმე წუთში შემოიჭრა პირი, რომელიც გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ რეგისტრატორი კომისიის წევრების სამუშაო მაგიდები ფანჯრის რაფებთან ძალიან ახლოს იდგა და ეს ხელს უშლიდა მას, კარგად დაკვირვებოდა რეგისტრატორების მუშაობას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა სთხოვა, წარმოედგინა უბანზე ყოფნის უფლების დამადასტურებელი ბეჯი, რაზეც მან უპასუხა, რომ იყო ამომრჩეველი და რაკი ხედავდა, რომ კომისია არღვევდა კანონს, სასწრაფოდ გამოიძახებდა საოლქო კომისიის წევრებს. მართლაც, რამდენიმე წუთში უბანზე საოლქო კომისიის წევრები გამოცხადნენ. ზემოაღნიშნულმა პირმა საოლქო კომისიის წევრების თანდასწრებით კვლავ გაიმეორა თავისი მოთხოვნა, რაზეც ამ უკანასკნელთ შენიშვნა არ გამოუთქვამთ. აღნიშნული პირი არ ტოვებდა უბანს და ქმნიდა არეულობას, რის

[25] იხ. ვიდეო http://hridc.tv/index.php?a=view&id=922&lang=geo

გამოც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა საოლქო კომისიის წევრებს, რომელთაგან ერთ-ერთი საოლქო კომისიის თავმჯდომარეს წარმოადგენდა. საბოლოო ჯამში, დიდი ძალისხმევის შედეგად, ამ პირმა დატოვა უბანი.

როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის წევრებისაგან გაარკვია, აღნიშნული პირი გახლდათ სოფელ დუისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, მერაბ ქავთარაშვილი. კომისიის წევრებისაგან ასევე ცნობილი გახდა, რომ მერაბ ქავთარაშვილი სოფელ დუისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტიური მხარდამჭერი იყო.

აღნიშნული პირის აქტიურობა გრძელდებოდა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზეც, ხმის მიცემის შემდეგ. იგი უბნის შესასვლელ კართან ოთხ თანმხლებ პირთან ერთად ეგებებოდა მოსულ ამომრჩევლებს. მოგვიანებით, იგი ისევ შევიდა კენჭისყრის ოთახში, ამჯერად - თანმხლებ პირებთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთმა ხმამაღლა იკითხა, „კონტროლის ქვეშ იყო თუ არა ყველაფერი“. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა სთხოვა მას განემარტა, რა უფლებით ითხოვდა ამ ინფორმაციას, მან თქვა, რომ იყო დამკვირვებელი, მაგრამ უფლებამოსილების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა, რის შემდეგაც თქვა, რომ მერაბ ქავთარაშვილის „სტუმარი“ იყო და აინტერესებდა საარჩევნო პროცესი. უბნის თავმჯდომარე პასიურობდა და ვერ უზრუნველყოფდა მათ მიერ უბნის დატოვებას. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მრავალი განმარტებისა და კანონის წესების მოხმობის შემდეგ, მათ დატოვეს უბნის ტერიტორია, თუმცა მიმდებარე ტერიტორიაზე, კარის შესასვლელთან, მთელი დღის განმავლობაში დარჩნენ და აქტიურობდნენ.

მერაბ ქავთარაშვილის თანმხლები პირები ხმის დათვლის პროცესზეც ცდილობდნენ ზეგავლენის მოხდენას. ისინი ფანჯრებიდან აკვირდებოდნენ უბანზე მიმდინარე პროცესს და ცდილობდნენ, გადაეწყვიტათ საეჭვო ბიულეტენების ბათილობის საკითხი. მათი მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარის ტონის შემცველ შეძახილებს - „ვნახავთ, როგორ ჩათვლით ამ ბიულეტენებს ბათილად“. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შეფასებით, კომისიის წევრები სრულფასოვნად ასრულებდნენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს ხმის დათვლის პროცესში, გარეთ მდგომი პირები კი ხელს უშლიდნენ მათ მუშაობაში.

აღნიშნული უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ასევე აქტიურობდა ერთი ქალბატონი, რომელიც, როგორც კომისიის წევრებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს განუცხადეს, გახლდათ მერაბ ქავთარაშვილის მეუღლე. იგი აქტიურად ეგებებოდა და ესაუბრებოდა ამომრჩევლებს. დამკვირვებლის შეკითხვაზე განაცხადა, რომ ამომრჩეველი იყო და უფლება ჰქონდა, ყოფილიყო საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის

განმარტებაზე, რომ მას უფლება არ ჰქონდა ამომრჩევლებზე ზეწოლა მოეხდინა, მან დაიწყო ხმამაღლა საუბარი და განაცხადა, რომ ამ „უკანონო მოთხოვნას“ უპასუხოდ არ დატოვებდა. განმეორებით მითითების შემდეგ დატოვა შესასვლელის მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ეზოში გაჩერებული ავტომანქანიდან აკვირდებოდა უბანზე მიმდინარე მოვლენებს[26]. კენჭისყრის პროცესს აკვირდებოდა ორგანიზაცია „ახალი თაობა - დემოკრატიული არჩევნების“ დამკვირვებელი, ბესიკ ქავთარაშვილი, რომელიც, როგორც კომისიის წევრებმა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელს განუცხადეს, მერაბ ქავთარაშვილის ძმა იყო[27]. უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესს აკვირდებოდა ასევე ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც, კომისიის წევრების თქმით, იყო მათი მამიდა. უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ახალგაზრდები, რომლებიც, კომისიის წევრების ინფორმაციით, წარმოადგენდნენ მერაბ ქავთარაშვილის ძმისშვილებს.

მსგავს ფაქტებზე რეაგირებას კომისიის თავმჯდომარე არ ახდენდა და აცხადებდა, რომ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი არ წარმოადგენს მის უფლებამოსილებას. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით მართლაც არ არის ზუსტად განსაზღვრული, თუ ვინ უნდა მოახდინოს უბნის მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი.

სოფელ დუისის 26-ე საარჩევნო უბანზე საეჭვო ქმედებებით გამოირჩეოდნენ ზემდგომი საოლქო კომისიის წარმომადგენლები, რომლებმაც მოითხოვეს გარეშე პირებისაგან განცალკევებით საუბარი ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელთან და სთხოვეს მას სოფელ მაღრაანის #13 საარჩევნო უბანზე გადანაცვლება, რაც იმით ახსნეს, რომ აღნიშნულ უბანზე განსაკუთრებით ბევრი არსებითი ხასიათის დარღვევა ფიქსირდებოდა. ისინი დღის განმავლობაში რამდენჯერმე დაუკავშირდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელს აღნიშნული თხოვნით. ამავე დროს, საუბნო კომისიის წევრები ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელს პირიქით სთხოვდნენ, არ დაეტოვებინა უბანი, რადგანაც ჰქონდათ შიში, რომ მისი წასვლის შემდეგ, ყველა ის პირი, ვინც უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა, აუცილებლად გამოიწვევდა პრობლემებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სოფელ დუისის 26-ე საარჩევნო უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატისა და მისი თანხმლები პირების მხრიდან აშკარა ჩარევა განხორციელდა კომისიის წევრების საქმიანობაში, რაც აკრძალულ

[26] http://hridc.tv/index.php?a=view&id=922&lang=geo

[27] საარჩევნო კოდექსი არ უკრძალავს საარჩევნო სუბიექტის კანდიდატის ოჯახის წევრს, იყოს დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი; საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის მე-4 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

ქმედებას წარმოადგენს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის 21-ე ნაწილის თანახმად.

ახმეტის მუნიციპალიტეტის #23 უბანზე ადგილი ჰქონდა აგიტაციის ფაქტს საარჩევნო სუბიექტის, კერძოდ, „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლის მხრიდან, რომელიც კაბინასთან ახლოს დადგა და ამომრჩეველს დაბალ ხმაზე უთხრა, შემოეხაზა ნომერი 3, რის შემდეგაც ამომრჩეველმა მას აჩვენა, თუ ვის მისცა ხმა. აღნიშნული ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დამკვირვებლებს. შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარემ მოუწოდა წარმომადგენელს, დაეცვა კანონი და თავისი ფუნქცია-მოვალეობები შეახსენა. მოგვიანებით, იგივე პირს სხვა ამომრჩეველმა მიუტანა ბიულეტენი და აჩვენა, თუ ვის მისცა ხმა. ამომრჩეველს განემარტა, რომ არ ჰქონდა ამის უფლება. ამის შემდეგ მსგავს ფაქტებს აღნიშნულ უბანზე ადგილი აღარ ჰქონია. აღნიშნული ფაქტების შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა შენიშვნა გააკეთა ჩანაწერთა წიგნში.

საკონტროლო ფურცლების წარმოებასთან დაკავშირებული დარღვევები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა საკონტროლო ფურცლებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დარღვევები. საკონტროლო ფურცლების კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოება უმნიშვნელოვანესია არჩევნების გაყალბების თავიდან აცილებისათვის. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საკონტროლო ფურცელი ივსება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი თავსდება ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ, ერთი კი ინახება კომისიის თავმჯდომარესთან საარჩევნო ყუთებში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით. საკონტროლო ფურცლებს ხელს აწერს პირველი ამომრჩეველი და საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრი; მათზე აღინიშნება საარჩევნო ყუთებში ჩაგდების ზუსტი დრო და პირველი ამომრჩევლის მონაცემები[28].

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, ზემო ლამბალოს #44 უბანზე, გადასატან ყუთში მოთავსებულ საკონტროლო ფურცელსა და საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს შორის გამოვლინდა განსხვავება. განსხვავება გამოვლინდა ასევე ძირითად ყუთში მოთავსებულ და კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს შორის.

საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ გადასატან ყუთში მოთავსებულ საკონტროლო ფურცელსა და საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახულ

[28] საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-10 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

საკონტროლო ფურცელს შორის განსხვავება გამოვლინდა, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიკვრება პაკეტად, დაეწერება „ბათილია'' და გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას. მე-5 ნაწილის თანახმად კი, თუ ძირითად ყუთში მოთავსებულ საკონტროლო ფურცელსა და საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს შორის გამოვლინდა განსხვავება, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.[29]

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით წარადგინა საჩივარი და მოითხოვა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესრულება. საუბნო კომისიამ არ დააკმაყოფილა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის საჩივარი და შეუდგა ხმების დათვლას. ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდეგ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიმართა საგარეჯოს #11 საოლქო საარჩევნო კომისიას და მოითხოვა ზემო ლამბალოს 44-ე უბანზე შედეგების გაბათილება. მიუხედავად შედეგების გაბათილების აშკარა საფუძვლებისა, საოლქო კომისია 44-ე უბნის თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის სიტყვიერი გაფრთხილებითა და მომავალში საარჩევნო კომისიის წევრობის აკრძალვით შემოიფარგლა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქეშალოს მე-40 უბანზე, კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, ძირითად ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელზე არ აღინიშნებოდა პირველი ამომრჩევლის მონაცემები. აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა საჩივარი და მოითხოვა უბნის შედეგების გაუქმება, რაც არ დაკმაყოფილდა კომისიის მიერ. შესაბამისად, საჩივარი წარედგინა საგარეჯოს მე-11 საოლქო კომისიას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში უხეშად დაირღვა საკონტროლო ფურცლის წარმოების წესი. საარჩევნო კოდექსის 150-ე მუხლის თანახმად, „საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრის შედეგები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბანში, სადაც უხეშად დაირღვა ეს კანონი''. საგარეჯოს საოლქო კომისია ამ შემთხვევაშიც თავმჯდომარის, მოადგილისა და მდივნის სიტყვიერი გაფრთხილებით და მომავალში საარჩევნო კომისიის წევრობის აკრძალვით შემოიფარგლა.

ახმეტის #8 საარჩევნო უბანზე გადასატან ყუთში არსებული საკონტროლო ფურცელი, ყუთის გახსნის შემდეგ შეინახა თავმჯდომარის მოადგილემ ისე, რომ არ შეადარა იგი ძირითად ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს. აღნიშნული დარღვევა

[29] http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

დროულად დააფიქსირა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა და მიუთითა მასზე თავმჯდომარეს, რის შემდეგაც მოხდა საკონტროლო ფურცლების შედარება. საკონტროლო ფურცლები ერთმანეთს შეესაბამებოდა. აღნიშნული დარღვევის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა გააკეთა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.

ბიულეტენებთან დაკავშირებული პრობლემები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ბიულეტენების გარკვეული რაოდენობის გამოყენების შემდეგ რეგისტრატორებს არათანაბარი რაოდენობის ბიულეტენები დარჩათ. 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთ ამომრჩეველზე რეგისტრატორი გასცემდა 3 ბიულეტენს - გამგებლის ან მერის ასარჩევ, პროპორციული სიით კანდიდატის ასარჩევ და მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევ ბიულეტენს.

ახმეტის მუნიციპალიტეტის, თამარის დასახლების მე-2 საარჩევნო უბანზე ხელმოწერების რაოდენობისა და გაცემული ბიულეტენების რაოდენობის შემოწმებისას, რაც დღის განმავლობაში რამდენჯერმე ხდება, აღმოჩნდა, რომ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა აღემატებოდა ხელმოწერების რაოდენობას. ერთ-ერთი რეგისტრატორის განმარტებით, მან შეცდომით ორი ერთნაირი ბიულეტენი გასცა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობდა ბიულეტენის უბნიდან გატანისა და ე.წ. „კარუსელის“ საფრთხეს. აღნიშნულთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შეადგინა საჩივარი და მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, დაუყოვნებლივ მოეხდინა ამ ფაქტზე რეაგირება. თავმჯდომარე დაუკავშირდა საოლქო კომისიას, რის შემდეგაც ცესკოს წარმომადგენლები მალევე გამოცხადდნენ უბანზე. მათ ახსნა-განმარტება დააწერინეს შეცდომის დამშვებ რეგისტრატორს და შეუცვალეს მას ფუნქცია. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი დარჩა აღნიშნულ უბანზე ხმის დათვლის დასრულებამდე, რათა გადაემოწმებინა, ნამდვილად იყო თუ არა ყუთში ერთით მეტი ბიულეტენი, რაც, საბოლოოდ, მართლაც ასე აღმოჩნდა.

არათანაბარი რაოდენობის ბიულეტენები დარჩა გასაცემი ასევე ერთ-ერთ რეგისტრატორს ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯოყოლოს 23-ე უბანზე, დილის 12 საათისათვის. იგი არ დაემორჩილა თავმჯდომარეს და უარი თქვა, დაეწერა ახსნა-განმარტება ამასთან დაკავშირებით. შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარემ საოლქო კომისიაში დარეკა და უბანზე საოლქო საარჩევნო კომისიის ორი წევრი გამოცხადდა, რომელთა მოთხოვნის შემდეგ რეგისტრატორმა ახსნა-განმარტებითი ბარათი დაწერა.

არათანაბარი რაოდენობის ბიულეტენები დარჩა ასევე ერთ-ერთ რეგისტრატორს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ქეშალოს მე-40 უბანზე, კერძოდ, გამგებლის ასარჩევი 2 ბიულეტენი, პროპორციული სიით კანდიდატის ასარჩევი - ერთი და მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევი არცერთი ბიულეტენი. რეგისტრატორმა ვერ ახსნა, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ამის მიზეზი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აცნობა ამის შესახებ თავმჯდომარეს და მოუწოდა კანონმდებლობის შესაბამისად ახსნა-განმარტება დაეწერა რეგისტრატორს. თავმჯდომარემ უპასუხა, რომ მან წერა არ იცოდა. თავმჯდომარემ უფლება არ მისცა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს, ჩანაწერი გაეკეთებინა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩანაწერთა წიგნში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი დაუკავშირდა საოლქო კომისიას, რომლის წევრებმაც მოითხოვეს პირადად თავმჯდომარესთან საუბარი. მათთან საუბრის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ მისცა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს ჩანაწერის გაკეთების უფლება და ასევე ახსნა-განმარტება დააწერინა შესაბამის რეგისტრატორს. ამის შემდეგ უბანზე გამოცხადდა ცესკოს წარმომადგენელი, რომელმაც შენიშვნა მისცა კომისიის თავმჯდომარეს ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოყოლოს 23-ე უბანზე გაცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობისა და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სხვაობამ არ შეადგინა ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა. ბალანსი არ შედგა ხელმეორედ დათვლის შემდეგაც. უბანზე ხელმოწერების რაოდენობამ შეადგინა 683 მაშინ, როცა გაცემული აღმოჩნდა 686 ბიულეტენი. საოლქო კომისიის წარმომადგენელმა აღიარა, რომ მსგავს სიტუაციაში არასოდეს არ ყოფილა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, რის გამოც ხმის დათვლის პროცესი შეაჩერა და ახმეტაში წავიდა ტრენერის მოსაყვანად, რომელსაც, მისი თქმით, ყველა კითხვაზე ექნებოდა პასუხი. კომისიის წევრებმა ეს ფაქტი გააპროტესტეს და ახსნა-განმარტება დაწერეს აღნიშნულ დარღვევასთან დაკავშირებით და დარღვევა დაშვებული შეცდომით ახსნეს.

თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ ყარაჯალას 38-ე უბანზე გადასატანი ყუთის უბანზე დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ დარჩენილი ბიულეტენების რაოდენობა იყო არათანაბარი, კერძოდ, პროპორციული სიით კანდიდატის ასარჩევი ბიულეტენი იყო მხოლოდ 4, ხოლო გამგებლის - 8. კომისიის წევრები გამორიცხავდნენ შეცდომის დაშვებას და უარს აცხადებდნენ ახსნა-განმარტების დაწერაზე. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მოთხოვნის შემდეგაც კომისიის წევრებმა ახსნა-განმარტება დაწერეს და აღნიშნული დარღვევა ჩანაწერთა წიგნში დააფიქსირეს.

არათანაბარი რაოდენობის ბიულეტენები დარჩა რეგისტრატორს ბიულეტენების ერთი შეკვრის გამოყენების შემდეგ თელავის მუნიციპალიტეტის, სოფელ ყარაჯალას

37-ე უბანზეც, რის შესახებაც მან ახსნა-განმარტება დაწერა და აღნიშნული ცდომილება ახსნა იმით, რომ ერთ-ერთ ამომრჩეველს შეცდომით ორი ერთნაირი ბიულეტენი მიაწოდა. მართლაც, აღნიშნულ უბანზე, ხმის დათვლისას, ერთ კონვერტში ორი ერთნაირი ბიულეტენი აღმოჩნდა. აღნიშნული ხმები გაბათილდა.

ამომრჩეველთა არაინფორმირებულობა

საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტის[30] იმ უბნებზე, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ახორციელებდნენ მონიტორინგს, პრობლემას წარმოადგენდა ამომრჩეველთა გაურკვევლობა ბიულეტენის შევსების წესთან დაკავშირებით. აღნიშნულ უბნებზე ამომრჩეველთა უმეტესობა ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენდა, რომლებიც ვერ ფლობდნენ ქართული ენას, შესაბამისად, ქართულ ენაზე გამოკრული ინსტუქციები მათთვის გაუგებარი იყო. აღნიშნულ უბნებზე ხშირი იყო შემთხვევები, როცა ამომრჩევლები თანმხლებ პირებთან ერთად მოდიოდნენ და საარჩევნო კაბინაში მათი დახმარებით აძლევდნენ ხმას.

საქართველოს საარჩევნო კოდექსი ქმნის შესაძლებლობას, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში საარჩევნო დოკუმენტაცია დამზადდეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ შესაბამის ენაზე; საარჩევნო ბიულეტენები შესაძლოა, დაიბეჭდოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე, ჩანაწერთა წიგნი იწარმოებოდეს და[31] შემაჯამებელი ოქმი დაიბეჭდოს შესაბამის ენაზე[32]. ადამიანის უფლებათა ცენტრი მიმართავს ცესკოს რეკომენდაციით, უზრუნველყოს ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებული ინსტრუქციებისა და ამომრჩეველთა ერთიანი სიების ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე გამოკვრა საარჩევნო უბნის თვალსაჩინო ადგილას.

საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრის, კანდიდატის, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა. უბანზე ყოფნის უფლებამოსილების მქონე სხვა პირებს მხოლოდ უბანზე რეგისტრირებული სხვა ამომრჩევლები წარმოადგენენ[33].

---

[30] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქეშალოს მე-40 და 41-ე, მუღალნოს 42-ე, ლამბალოს 44-ე, 45-ე და 46-ე და თულარის 47-ე და 48-ე, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას 37-ე, 38-ე, 39-ე და 54-ე საარჩევნო უბნებზე

[31] საარჩევნო კოდექსის 62-ე მუხლის მე-2 ნაწილი; 63-ე მუხლის პირველი ნაწილი;

[32] საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლის მე-10 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

[33] მუხლი მე-8; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

შესაბამისად, ამომრჩევლისათვის დახმარების გაწევის უფლება აქვს მხოლოდ რიგში მდგომ სხვა ამომრჩეველს. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნულ უბნებზე დამხმარე პირების უმრავლესობა თავად ხმას არ აძლევდა, გაურკვეველია, წარმოადგენდნენ თუ არა ისინი შესაბამის უბანზე რეგისტრირებულ ამომრჩევლებს, შესაბამისად ჰქონდათ თუ არა უბანზე ყოფნის უფლება. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი მოუწოდებდა თავმჯდომარეს, გაეკონტროლებინა, თუ ვინ მიჰყვებოდა ამომრჩეველს დამხმარედ კაბინაში, მაგრამ აღნიშნული ფაქტების აღკვეთა მაინც ვერ ხერხდებოდა.

ამ პრობლემების გამო, ზემოაღნიშნულ უბნებზე ხმების გაურკვეველი გამოხატვა ხშირად ხდებოდა ბათილობის საფუძველი. დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ხმა გამოხატული იყო ბიულეტენის მეორე გვერდზე გაუგებარი აღნიშვნების გზით. თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას 37-ე საარჩევნო უბანზე გაბათილდა გამგებლის ასარჩევი 28 ბიულეტენი, მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევი – 19 და პროპორციული სიით კანდიდატის ასარჩევი 21 ბიულეტენი. 38-ე საარჩევნო უბანზე გაბათილდა გამგებლის ასარჩევი 18 ბიულეტენი, მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევი და პროპორციული სიით კანდიდატის ასარჩევი 23 ბიულეტენი. 39-ე საარჩევნო უბანზე გაბათილდა გამგებლის ასარჩევი 33 ბიულეტენი, მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევი – 39 და პროპორციული წესით კანდიდატის ასარჩევი 33 ბიულეტენი. 54-ე უბანზე გაბათილდა გამგებლის ასარჩევი 13 ბიულეტენი, მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევი – 17 და პროპორციული სიით კანდიდატის ასარჩევი 17 ბიულეტენი.

მასშტაბურ პრობლემას წარმოადგენდა კომისიის წევრთა მიერ ქართული ენის არცოდნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის იმ უბნებზე, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები უწევდნენ მონიტორინგს[34]. აღნიშნული პრობლემის გამო, კომისიის წევრებს უჭირდათ თავიანთი უფლება-მოვალეობების სრულფასოვნად შესრულება. ენობრივი ბარიერის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ვერ ახერხებდნენ მათთან კომუნიკაციასა და პრობლემების გამორკვევას, ასევე დამკვირვებლებისათვის გაურკვეველი იყო აღნიშნულ უბნებზე კომისიის წევრებსა და ამომრჩევლებს შორის საუბრის შინაარსი.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ საარჩევნო კომისიის წევრები უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას - ქართულს იმ დონეზე, რომ სრულფასოვნად მოახერხონ თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულება.

[34] საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების ქეშალოს მე-40 და 41-ე, მუდალნოს 42-ე, ლამბალოს 44-ე, 45-ე და 46-ე და თულარის 47-ე და 48-ე უბნები.

საკანონმდებლო ხარვეზი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოყოლოს 23-ე უბანზე, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს, რომელიც საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის უფლებამოსილების საფუძველზე ახორციელებდა კენჭისყრის პროცესზე დაკვირვებას, საარჩევნო კოდექსის წესების დაცვით, ჩაენაცვლა მისი პარტიის სხვა წარმომადგენელი. დამკვირვებლის მიერ მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნული პირი გახლდათ „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი კანდიდატი.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი აღნიშნული საკითხის გასარკვევად დაუკავშირდა ცესკოს, სადაც განუმარტეს, რომ კანდიდატი არ შეიძლება დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდეს საარჩევნო უბანზე, მაგრამ, მას შეუძლია, პროცესებს პარტიის წარმომადენლის სტატუსით დააკვირდეს და ამ მხრივ, კანონში შეზღუდვა არ არსებობს.

საარჩევნო საკითხებში ექსპერტის, ნინა ხატისკაცის განმარტებით, საარჩევნო უბანზე პარტიის წარმომადგენლის ყოფნა დარღვევა არ არის, მაგრამ ეს აშკარა საკანონმდებლო ხარვეზია, რადგან პარტიის წარმომადგენელს და დამკვირვებელს უბანზე ზუსტად ერთნაირი ფუნქცია-მოვალეობები აქვთ: „კანონმდებლობის მიხედვით, კანდიდატი უბანზე დამკვირვებლის სტატუსით არ შეიძლება იყოს, მაგრამ მას შეუძლია, მოვლენებს პარტიის წარმომადგენლის სტატუსით დააკვირდეს. რეალურად კი, პარტიის წარმომადგენელსა და დამკვირვებელს უბანზე ერთნაირი ფუნქციები და უფლებები აქვთ. ფაქტობრივად, მხოლოდ სახელწოდებაშია განსხვავება. კანონის ამ ხარვეზს პარტიები ხშირად სათავისოდ იყენებენ ხოლმე. ბუნებრივია, როცა უბანზე კანდიდატი იმყოფება და მას ამომრჩევლები ცნობენ, ეს შესაძლოა, ჩაითვალოს ამომრჩევლის ნებაზე ირიბ ზემოქმედებად და ამის უფლება, პარტიებს კანონმა არ უნდა მისცეს. ეს არის საარჩევნო კოდექსის საკმაოდ სერიოზული ხარვეზი, რომელიც აუცილებად საჭიროებს გამოსწორებას“[35].

კენჭისყრის პროცესის განმავლობაში დაფიქსირებული სხვა დარღვევები

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ცნობით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ლამბალოს 45-ე უბანზე გადასატანი ყუთის დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამომრჩეველთა ხმები არ იყო დადასტურებული შესაბამისი ხელმოწერებით სპეციალურ სიაში, სადაც 29 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული.

[35] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17766&lang=geo

კომისიის წევრების თქმით, მათ დაავიწყდათ ხელმოწერების პროცედურების გამართვა. საუბნო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნულთან დაკავშირებით მიმართა საოლქო კომისიას, რომლის წარმომადგენლები გამოცხადდნენ უბანზე. საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ხმები ბათილად იქნა ცნობილი.

ახმეტის მუნიციპალიტეტის თამარის დასახლების მე-2 უბანზე ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა ქაოტურად. ნაკადის მომწესრიგებელი ვერ უზრუნველყოფდა რიგების მოწესრიგებას და რეგისტრატორებთან გროვდებოდა უამრავი ხალხი. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად ამომრჩევლისათვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ უნდა იმყოფებოდეს[36]. აღნიშნული წესის უზრუნველყოფა ევალება ნაკადის მომწესრიგებელს, რომელმაც არ უნდა დაუშვას ამომრჩეველი კენჭისყრის ოთახში, თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი იმყოფება. თამარის დასახლების მე-2 უბანზე დაფიქსირებული აღნიშნული დარღვევის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა კომისიის თავმჯდომარეს და შენიშვნა გააკეთა ჩანაწერთა წიგნში. ამის შემდეგ აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრა. ამავე უბანზე, ერთ-ერთი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენელს არ ეკეთა სპეციალური ბეჯი, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა ასევე მიმართა საუბნო კომისიის თავმჯდომარეს და შესაბამისი შენიშვნა გააკეთა ჩანაწერთა წიგნში. მიმართვის შემდეგ აღნიშნული პრობლემაც აღმოიფხვრა.

ახმეტის მე-13 უბანზე, რომელიც მდებარეობდა სოფელ მაღრაანში, რამდენიმე ადამიანი ვერ ახერხებდა ხმის მიცემას, რადგანაც მათი მონაცემები არ იყო შეტანილი სამაგიდო სიებში, მაგრამ წარმოდგენილი იყო კედლის სიებში. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი დაუკავშირდა ცესკოს, რომლის წარმომადგენლებიც მალევე გამოცხადდნენ უბანზე. პრობლემის გარკვევა ვერ მოხერხდა და აღნიშნულმა ამომრჩევლებმა ხმის მიცემა ვერ შეძლეს. იგივე პრობლემა დაფიქსირდა ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯოყოლოს 23-ე უბანზე, სადაც იმ ამომრჩევლებს, რომელთა მონაცემები არ იყო შეტანილი სამაგიდო სიებში, მაგრამ დაფიქსირებული იყო კედლის სიებში, ხმის მიცემის უფლება არ მისცეს. აღსანიშნავია, რომ ამომრჩევლებს თან ჰქონდათ ბარათები, რომლებშიც ეწერა მათი რიგითი ნომერი სამაგიდო სიაში. აღნიშნული ფაქტები კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სიების დაზუსტებისა და გამართვის საჭიროებას, რომელზეც ხშირად მიუთითებენ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები.

[36] საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის, მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

ახმეტის მუნიციპალიტეტის, ალავერდის დასახლების 25-ე უბანზე დაფიქსირდა შემთხვევა, როცა ერთი დამკვირვებელი ადგილობრივი ორგანიზაციის რამდენიმე წარმომადგენელი ერთდროულად იმყოფებოდა უბანზე. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ერთ ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციას უფლება არ აქვს, საარჩევნო უბანზე ერთდროულად ჰყავდეს ერთზე მეტი დამკვირვებელი[37]. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს მათ განუცხადეს, რომ უფლება ჰქონდათ ერთდროულად განეხორციელებინათ დაკვირვება, რასაც ასევე დაეთანხმა კომისიის თავმჯდომარე. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მათ განუმარტა, რომ ამის უფლება არ ჰქონდათ და მიუთითა საარჩევნო კოდექსის შესაბამის ნორმაზე. კომისიის თავმჯდომარე აღნიშნული საკითხის გასარკვევად საოლქო კომისიას დაუკავშირდა. შესაბამისი მითითების მიღების შემდეგ მან უბანი ყველა არაუფლებამოსილ პირს დაატოვებინა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნული დარღვევის შესახებ ჩანაწერთა წიგნში შენიშვნა დააფიქსირა.

სამი დამკვირვებელი იყო წარმოდგენილი ერთდროულად ახმეტის რაიონის სოფელ დუისის 26-ე საარჩევნო უბანზე ორგანიზაცია „ახალი თაობა - დემოკრატიული არჩევნებიდან''. ამასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა მიმართა კომისიის თავმჯდომარეს და სთხოვა, უზრუნველეყო, რომ უშუალოდ უბანზე ორგანიზაციის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი დარჩენილიყო. კომისიის თავმჯდომარემ მიიღო შესაბამისი ზომები.

ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოს 23-ე საარჩევნო უბანზე ერთდროულად იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ 2 წარმომადგენელი, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა შენიშვნა გააკეთა ჩანაწერთა წიგნში. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის მსგავსად, ერთი და იმავე საარჩევნო სუბიექტის ორ წარმომადგენელს არ აქვს კენჭისყრის შენობაში ერთდროულად ყოფნის უფლება[38]. შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარემ მოითხოვა, ერთ-ერთ მათგანს დაეტოვებინა უბანი, რასაც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დაემორჩილნენ.

ზემო ლამბალოს 44-ე უბანზე „ქართული ოცნებისა“ და დამოუკიდებელი კანდიდატის, კაზანფარ მამედოვის ორ-ორი წარმომადგენელი ერთდროულად იმყოფებოდა. აღნიშნულის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა წარადგინა საჩივარი და მოითხოვა საარჩევო სუბიექტების ერთ-ერთ წარმომადგენელს დაეტოვებინა უბანი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

---

[37] საარჩევნო კოდექსის მე-3 ნაწილი, 39-ე მუხლი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf
[38] საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

მოცემულ უბანზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დარღვევა დაფიქსირდა, კერძოდ, 1587 ამომრჩევლისათვის გათვალისწინებული იყო მხოლოდ 3 რეგისტრატორი. საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 300 ამომრჩევლისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს სულ ცოტა ერთი რეგისტრატორი. აღნიშნული ფაქტის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აცნობა ცესკოს, ასევე წარადგინა საჩივარი, რის შედეგადაც კიდევ ერთი წილისყრა ჩატარდა და გამოვლინდა კიდევ ორი რეგისტრატორი.

1612 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ლამბალოს 45-ე საარჩევნო უბანზე[39]. საარჩევნო კოდექსის 23-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საარჩევნო უბანი იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 1500 ამომრჩევლისათვის. კანონი არ ითვალისწინებს გამონაკლისს ამ წესიდან. როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრს ცესკოს ცხელ ხაზზე განუმარტეს, ამ და სხვა უბნებზე 1500-ზე მეტი ამომრჩევლის რეგისტრირება ცესკოს 2012 წლის #6 სპეციალური დადგენილების თანახმად დაიშვა. აღნიშნული დადგენილების თანახმად, „საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ რაოდენობას, გარდა შემდეგი კატეგორიის ამომრჩევლებისა: ა) სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩეველები, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე არ დგანან; ბ) სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩეველები, რომლებიც საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე დგანან; გ) პატიმრობაში და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლები; დ) საქართველო თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები; ე) სამკურნალო დაწესებულებებში მყოფი ამომრჩევლები''[40].

“ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად'', კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს საკანონმდებლო აქტს[41]. შესაბამისად, დაუშვებელია ბრძანებულება ეწინააღმდეგებოდეს საარჩევნო კოდექსს.

საარჩევნო პროცესის ხარვეზად კვლავ რჩება უბნებზე საარჩევნო ბიულეტენების კანონით გათვალისწინებულზე ნაკლები რაოდენობის უზრუნველყოფა, რასაც ასეთივე ტენდენციის სახე ჰქონდა წინა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე. საუბნო-საარჩევნო კომისიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ

[39] http://humanrights.ge/index.php?a=main&pid=17773&lang=geo
[40] http://www.cesko.ge/uploads/other/9/9484.pdf
[41] მუხლი მე-7; http://www.momxmarebeli.ge/images/file_918590.pdf

აღნიშნული არჩევნების პროცესს ხელს არ უშლის, რადგან უბნებზე ამომრჩევლების 100%-იან აქტიურობას არ ელოდებიან.

ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჯოყოლოს 23-ე უბანზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა სამაგიდო სიებს გადაუღო ფოტოები, რასაც უმალვე მოჰყვა საოლქო კომისიის წარმომადგენლების პროტესტი. ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის დადგენილების თანახმად, ამომრჩეველთა სიების სამაგიდო ვერსიისათვის ფოტოს გადაღება აკრძალულია[42]. აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებები შევიდა ცესკოს №45/2013 დადგენილებით, მაგრამ აღნიშნული აკრძალვა უცვლელი დარჩა[43]. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ამ ფაქტთან დაკავშირებით ახსნა-განმარტება დაწერა.

ამავე უბნის ეზოში იდგა დაახლოებით 50 მამაკაცი, რომლებიც ფანჯრებიდან ყურადღებით აკვირდებოდნენ კენჭისყრის ოთახში მიმდინარე პროცესს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიუთითა კომისიის თავმჯდომარეს, მოეთხოვა მათთვის უბნის მიმდებარე ტერიტორიის დატოვება და კენჭისყრის ოთახში მიმდინარე პროცესებზე თვალყურის შეწყვეტა. თავმჯდომარის მოთხოვნამ შედეგი არ გამოიღო, რის გამოც ფანჯრები დაიხურა. ამავე უბანზე ერთ-ერთი ამომრჩეველი გამოცხადდა „ქართული ოცნების“ სიმბოლიკიანი ქუდით. დამკვირვებლების შენიშვნის შემდეგ თავმჯდომარის მითითებით, მან ქუდი მოიხადა.

ახმეტისა და საგარეჯოს რაიონებში დაფიქსირდა შემთხვევები, როცა კენჭისყრის ოთახები არასათანოდ იყო შერჩეული. ახმეტის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვემო ხალაწანის მე-8 უბანი განთავსებული იყო ორ ოთახში[44]. ერთ ოთახში იყო მოთავსებული რეგისტრაციის მაგიდა, ხოლო მეორე ოთახში - კაბინები და საარჩევნო ყუთი. პირველი ოთახიდან არ ჩანდა, თუ რა ხდებოდა მეორე ოთახში, რაც დამკვირვებლებს ართმევდა შესაძლებლობას სრულფასოვნად განეხორციელებინათ თავიანთი უფლებამოსილება. აღნიშნული ფაქტი ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონდებლობის მოთხოვნას, რომლის თანახმადაც არჩევნები უნდა მიმდინარეობდეს ერთ ოთახში, რათა ყველა კუთხიდან ნათლად ჩანდეს ნებისმიერი პროცედურა[45].

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქეშალოს მე-40 უბანი მოწყობილი იყო სკოლის დერეფანში. დერეფანი იყო ძალიან გრძელი. ნაკადის მომწესრიგებელი იყო

[42] მუხლის 1, ნაწილი მე-3; http://www.cesko.ge/files/2013/dadgenileba_42_2013.pdf
[43] https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=2049003
[44] იხ. ვიდეო: http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=920&lang=geo
[45] საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

დერეფნის დასაწყისში, ხოლო საარჩევნო კაბინები, რეგისტრატორები და საარჩევნო ყუთი - მეორე ბოლოში, რაც ართულებდა პროცესებზე დაკვირვებას.

ახმეტის მუნიციპალიტეტის, ალავერდის დასახლების 25-ე უბანი მოწყობილი იყო მცირე ზომის ოთახში, რაც ქმნიდა სიმჭიდროვის პრობლემას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ თულარის 48-ე უბანზე რეგისტრატორებს არ ჰქონდათ ანბანის მიხედვით განაწილებული ამომრჩეველთა სია, რის გამოც დიდ დროს კარგავდნენ ამომრჩევლების ძებნაში. იგივე პრობლემა დაფიქსირდა სოფელ ქეშალოს მე-40 უბანზე.

თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარაჯალას 38-ე უბანზე, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლების მხრიდან შეინიშნებოდა აგრესიული განწყობა და არაკორექტული კომენტარები კომისიის წევრების მიმართ. ადგილი ჰქონდა სიტყვიერ დაპირისპირებას „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელსა და კომისიის ერთ-ერთ წევრს შორის. აღსანიშნავია, რომ კომისიის თავმჯდომარე დაუყოვნებლივ ჩაერია სიტუაციაში და აღკვეთა კონფლიქტი.

სოფელ ყარაჯალას 39-ე უბანზე საუბნო–საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე უსაფუძვლო აგრესიით გამოირჩეოდა „ნაციონალური მოძრაობის'' წარმომადგენლის მიმართ, რომელიც აკვირდებოდა კენჭისყრის პროცესს. იგი იდგა კუთხეში, სიებისგან მოშორებით და ხელს არ უშლიდა კომისიის წევრებს მუშაობაში. კომისიის თავმჯდომარე უხეშად მიმართავდა წარმომადგენელს და უთითებდა, რომ რეგისტრატორების მაგიდებიდან 2 მეტრის დაშორებით დამდგარიყო ან დაეტოვებინა კენჭისყრის ოთახი. საარჩევნო კოდექსის თანახმად, დამკვირვებლებს უფლება აქვთ, ნებისმიერი კუთხიდან დააკვირდნენ კენჭისყრის პროცესს ისე, რომ ხელი არ შეუშალონ კომისიის წევრთა მუშაობას[46]. 2 მეტრის დაშორებით დგომის ვალდებულება მოქმედებს მხოლოდ ხმის დათვლის პროცესზე იმ დამკვირვებელთა მიმართ, რომლებიც არ წარმოადგენენ მთვლელების უშუალო მეთვალყურეებს[47]. შესაბამისად, თავმჯდომარის მოთხოვნა იყო არაკანონიერი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნას თავმჯდომარემ მკვეთრი აგრესიითა და არაკორექტული განცხადებებით უპასუხა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი, მაგრამთავმჯდომარე არ აძლევდა მას საჩივრის დარეგისტრირების უფლებას. საჩივრის დარეგისტრირება მხოლოდ საოლქო კომისიასთან დაკავშირების შემდეგ მოხერხდა.

---

[46] საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf
[47] საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

სოფელ ყარაჯალას 39-ე უბანზე, საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების მიზნით არ გამოვლენილა საარჩევნო სუბიექტების ორი წარმომადგენელი, რომელთა გამოვლენის ვალდებულება ეკისრება კომისიის თავმჯდომარეს, წილისყრის მეშვეობით. აღნიშნულ ვალდებულებას ითვალისწინებს საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის მე-5 ნაწილი.[48] ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლის შენიშვნაზე თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საჩივრების რეგისტრაციას არ ესაჭიროება დამკვირვებელი და ასეთი ვალდებულება კანონმდებლობით არ არსებობს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი დაუკავშირდა საოლქო კომისიას და მოახსენა ამ ფაქტის თაობაზე, რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ გაითვალისწინა მისი შენიშვნა და საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვების მიზნით, წილისყრის გზით გამოავლინა საარჩევნო სუბიექტების ორი წარმომადგენელი. თუმცა, საარჩევნო სუბიექტის იმ წარმომადგენელს, რომელსაც წილად არ ერგო საჩივრების რეგისტრაციის პროცესზე დაკვირვება, მოსთხოვა დაეტოვებინა კენჭისყრის ოთახი. თავმჯდომარემ არ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნა, რომელმაც თავმჯდომარეს განუმარტა, რომ ამ პირს უფლება ჰქონდა, დაკვირვებოდა საარჩევნო პროცესს. ამის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი იძულებული გახდა, კიდევ ერთხელ დაკავშირებოდა საოლქო კომისიას, რომლის განმარტების შემდეგ, საუბნო კომისიის თავმჯდომარემ გაითვალისწინა მითითება.

ყარაჯალას 39-ე უბანზე, საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი გულგრილად და არასათანადოდ ასრულებდა მოვალეობებს. ხშირად ფიქსირდებოდა ყუთთან ერთზე მეტი ამომრჩეველი. იმ პირებს, რომლებმაც ხმა მისცეს, ზედამხედველი არ მიუთითებდა, დაეტოვებინათ ოთახი. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით შენიშვნა დააფიქსირა ჩანაწერთა წიგნში. კომისიის თავმჯდომარის ჩარევის შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა.

ხმის დათვლის პროცესის დაწყებისას, თავმჯდომარე საშუალებას არ აძლევდა მთვლელებს, თავად დაეხარისხებინათ და დაეთვალათ ბიულეტენები. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ, მას აღარ შეუქმნია დაბრკოლება მთვლელებისათვის. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს, რომელიც თვლის პროცესის უშუალო მეთვალყურედ შეირჩა, მოსთხოვა, ორი მეტრით დაშორებოდა მთვლელებს, რაც არაკანონიერ მოთხოვნას წარმოადგენდა, რადგანაც საარჩევნო კოდექსის თანახმად, უშუალო მეთვალყურეს უფლება აქვს, მთვლელის გვერდით დადგეს და ახლო დისტანციიდან დააკვირდეს

[48] http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

თვლის პროცესს[49]. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა განუმარტა მას კანონის აღნიშნული დანაწესი და მოსთხოვა მისი დაცვა, რის შემდეგაც მისი მხრიდან მსგავს ქმედებებს ადგილი აღარ ჰქონია.

სოფელ ყარაჯალას 39-ე უბნის კომისიის თავმჯდომარემ ცესკოს წარმომადგენლისაგან მიიღო სიტყვიერი გაფრთხილება განხორციელებულ ქმედებებთან დაკავშირებით.

საჩხერის მუნიციპალიტეტის კონფლიქტისპირა სოფლებში გამოვლენილი დარღვევები იყო მცირე რაოდენობის და უმნიშვნელო ხასიათის. კომისიის წევრები მხედველობაში იღებდნენ და ითვალისწინებდნენ დამკვირვებლების შენიშვნებს. შენიშვნები დაფიქსირდა სოფელ ჩიხას 36-ე უბანზე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლებამოსილების მქონე მოწმობის გაკეთებასთან დაკავშირებით, სოფელ ჯრიას 46-ე საარჩევნო უბანზე ერთი და იგივე ორგანიზაციის ორი დამკვირვებლის ყოფნასთან დაკავშირებით და ასევე ხმის დათვლის პროცესის დაწყებამდე პროცედურების გამართვის რიგითობასთან დაკავშირებით, რაც კომისიის თავმჯდომარეებმა გაითვალისწინეს და გამოასწორეს.

სოფელ ჩიხას 37-ე უბნის შესასვლელ კართან აქტიურობდნენ არაუფლებამოსილი პირები, რომელთაც არ ჰქონდათ კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლება. ადამიანის უფლებათა ცენტრის მითითების შემდეგ, კომისიის თავმჯდომარემ შენიშვნა მისცა აღნიშნულ პირებს და დაატოვებინა მათ კენჭისყრის შენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ამომრჩევლები ოკუპირებული სოფლებიდანაც გადმოდიოდნენ. 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, მათ პირობითი საზღვრის გადმოკვეთაში ხელს არ უშლიდნენ რუსი სამხედროები.

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე რეგიონში, საარჩევნო უბნები კანონის მოთხოვნებთან შესაბამისად იყო მოწყობილი - გამოკრული იყო ამომრჩეველთა სიები, სადემონსტრაციო ოქმები, დოკუმენტები, რომელიც ამომრჩევლებს აცნობს მათ უფლებებს, კანდიდატებისა და მათი წარმდგენი პოლიტიკური სუბიექტების სიები და სხვა საჭირო ინფორმაცია.

[49] საარჩევნო კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf

ხმის დათვლის პროცესი

ხმის დათვლის პროცესი, ძირითადად, გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისი პროცედურების დაცვით წარიმართა. გამონაკლისს წარმოადგენდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ის უბნები, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა საჩივრები წარადგინების საკონტროლო ფურცლების წარმოების მნიშვნელოვან დარღვევებთან დაკავშირებით, რის შემდეგაც საუბნო კომისიებს, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, უფლება არ ჰქონდათ გაემართათ ხმის დათვლის პროცესი. [50]

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთა ინფორმაციით, კომისიის წევრთა მიერ, ძირითადად, დაცული იყო საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. კერძოდ, კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით, კომისიის წევრთაგან წილისყრით არჩევდა არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან, ურთიერთშეთანხმებით, არჩევდნენ არაუმეტეს ორ მეთვალყურეს. დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც დამკვირვებლების შეუთანხმლებლობის გამო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით არჩევდა კომისიის თავმჯდომარე.

დამკვირვებლებს ჰქონდათ სრული შესაძლებლობა შეუფერხებლად დაკვირვებოდნენ ხმის დათვლის პროცესს, გამონაკლისს წარმოადგენდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ყარაჯალას 39-ე უბანი, სადაც უბნის თავმჯდომარემ მთვლელებისაგან ორი მეტრის დაშორებით დგომა მოსთხოვა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს, რომელიც თვლის პროცესის უშუალო მეთვალყურეს წარმოადგენდა და უფლება ჰქონდა, ახლო დისტანციიდან დაკვირვებოდა თვლის პროცესს.[51]

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საარჩევნო უბნებზე, კომისიის წევრების არასათანადო კვალიფიკაციის გამო, ხმის დათვლის პროცედურების გამართვა მოხერხდა მხოლოდ ცესკოს წარმომადგენლების დახმარების შემდეგ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის 26-ე საარჩევნო უბანზე, გარეთ მდგომი პირები, რომლებიც ფანჯრებიდან აკვირდებოდნენ ხმის დათვლის პროცესს, მუქარის ტონის შემცველი შეძახილებით მიმართავდნენ კომისიის წევრებს.[52]

---

[50] იხ. გვ. 13
[51] საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილი; http://www.cesko.ge/uploads/other/28/28565.pdf
[52] იხ. გვ. 10

რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს პარლამენტს:

- საარჩევნო კოდექსით დაზუსტდეს, თუ რა იგულისხმება საარჩევნო კანდიდატების ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრების ცენზის ქვეშ;
- საარჩევნო კანდიდატს არ უნდა ჰქონდეს უფლება განახორციელოს არჩევნების პროცესზე დაკვირვება, როგორც საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა. საარჩევნო კოდექსით უნდა გაიწეროს შესაბამისი აკრძალვა ამის შესახებ;
- საინიციატივო ჯგუფებს უნდა მიეცეთ მერობის/გამგებლობის კანდიდატების დასახელების უფლება, რაც აღარ შეზღუდავს ამომრჩეველთა თავისუფალ ნებას, აირჩიონ მათთვის სასურველი კანდიდატი;

ადამიანის უფლებათა ცენტრი რეკომენდაციით მიმართავს ცესკოს:

- იმ საარჩევნო უბნებზე, სადაც ამომრჩევლები ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ, ამომრჩეველთა სია და ბიულეტენის შევსების წესები გაკრული უნდა იყოს არა მარტო ქართულ ენაზე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ ენაზე.
- დამატებითი ღონისძიებები გატარდეს ამომრჩეველთა ინფორმირებულობის დონის გაზრდის, სამოქალაქო განათლებისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით;
- საარჩევნო კომისიის წევრები უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას - ქართულს იმ დონეზე, რომ სრულფასოვნად მოახერხონ თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულება;
- აღმოიფხვრას უზუსტობა და შეუსაბამობა საარჩევნო სიებში;
- სათანადო ყურადღება მიექცეს საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიათა წევრების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხს; საარჩევნო კანონმდებლობისა და პროცედურების ცოდნის გაუმჯობესებას.
- ამომრჩეველთა ნებაზე არაკანონიერი ზემოქმედების ფაქტებზე კონტროლი განხორციელდეს საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე;
- კენჭისყრის პროცესის გამართვისთვის შეირჩეს შესაბამისი სივრცე.